ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

16 (10003) • 22 aprili • 2013 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთში ომბუდსმენის რეგიონული ოფისი გაიხსნება

გაზეთი „ალიონი“

შაბათს, ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ოფისში საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ლიდერთა სკოლის მოსწავლეებს შეხვდა. უჩა ნანუაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს ადამიანის უფლებების შესახებ წლიური ანგარიში გააცნო. ისაუბრეს ბავშვთა უფლებების დაცვაზე. შემდეგ სახალხო დამცველი ადგილობრივი მედიასაშუალების და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.

როგორც უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, განზრახულია ოზურგეთში სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენლობის გახსნა. ამ საკითხზე ევრაზიის ფონდი ამუშავებს პროექტს, შეირჩევა ის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებს. ოფისი შემოდგომაზე გაიხსნება.

უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა შეხვედრები ზუგდიდსა და ბათუმში. აჭარაში ეკომიგრანტების პრობლემა გამოიკვეთა. ყველა დასმულ საკითხზე კონკრეტულ რეკომენდაციებს და რჩევებს შეიმუშავებენ.

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირიდან **ლევან მუკანაძემ** სკოლებში დელეგირებული კომპონენტების გარშემო გამოთქვა თავისი პოზიცია, ხოლო **მზია მეხუზლამ** აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლებს ვაუჩერების თანხა გაეზარდათ, ერთ გაკვეთილზე ერთი მოსწავლის ვაუჩერით თანხა 20 თეთრს შეადგენს. პრობლემა ბავშვთა კვების საკითხია. ბავშვები არც თუ იშვიათად მშივრები დადიან სკოლებში და არის შემთხვევები, ამის გამო ცუდად შექმნილან.

ბავშვთა თემას შეეხო ჟურნალისტი **ნუგზარ ასათიანი**. მისი თქმით, ოზურგეთის საბავშვო ბაღებში შეტანილი ხორცის საქმე არ იქნა ბოლომდე შესწავლილი. არ დააკმაყოფილეს მშობლების მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა არ მოიძიეს ხორცის იმ პარტიის ნაშთები, რომლის ლაბორატორიული შემოწმებით შესაძლებელი გახდებოდა, კონკრეტული ბაღების პედაგოგები და ბავშვების მშობლები დარწმუნდებოდნენ პრობლემის სისწორეში. ამით დაირღვა როგორც მშობლების, ისე ბავშვების უფლებები. გადახედვას მოითხოვს საზედამხედველო სამსახურების უფლებები.

ჟურნალისტმა **თეა იოსელიანმა** სოციალურად დაუცველ ადამიანებზე ქულების მინიჭების საქმეში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა.

ლევან მეგრელიძემ შრომის კოდექსში არსებულ ხარვეზებზე დასვა შეკითხა, რაზედაც სახალხო დამცველმა უპასუხა, რომ მიუხედავად ხარვეზებისა, ბოლო პერიოდში შრომის კოდექსში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები.

მეგრელიძემ სახალხო დამცველის უფლებამოსილების შესახებაც დასვა შეკითხვა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას უფლებამოსილება შეეზღუდა 21 მუხლის,, ბ“ პუნქტში, რაც იურიდიული პირებისათვის რეკომენდაციის გაცემას ითვალისწინებდა.

ადვოკატის თანაშემწე **ომარ ბაკურაძემ** კურორტ ბახმაროში კერძო მფლობელების უფლებების დარღვევაზე დასვა კითხვა, რაც აქ საკუთრების დარეგისტრირების ხელოვნურ შეჩერებას ეხება.

სახალხო დამცველი დაინტერესდა გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტზე 2012 წლის 14 სექტემბერს კერძო ინსპექტორ გ. ვ–ის მიერ მიყენებულ შეურაცხყოფისა და მატერიალურ ზარალზე პოლიციაში გამოძიების მიმდინარეობით. საქმის გაჭიანურების გამო, სახალხო დამცველმა რედაქციას ოფიციალური განცხადებით მისთვის მიმართვა ურჩია.

„ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის ოფისი გაიხსნა

დღეს, ოზურგეთის რკინიგზის ვაგზლის პირველ სართულზე „ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ოფისი გაიხსნა.

როგორც „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“გურიის რეგიონის კოორდინატორმა **დავით კუკულაძემ** გვითხრა, დღეიდან „ქართული ოცნების“ ოფისი იმუშავებს და გაგრძელდება პარტიაში გაწევრიანების პროცესი. ვისაც უნდა, შეუძლია ამ პარტიის წევრი გახდეს. თუ ადამიანს გული შესტკივა ქვეყნისთვის, ერისთვის–შეუძლია აქ გაწევრიანდეს. უპირველესად ეს პარტია შეიქმნა ხალხისთვის და არა პიროვნებისთვის. თუ წინა მმართველი პარტია პიროვნებებს ემსახურებოდა, „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ ხალხის სამსახურში იქნება. ჩვენ არ ვასხვავებთ ადამიანებს, ვისაც ჩვენ გვერდით უნდა დგომა, მოვა და გავაწევრიანებთ, თუგინდ იგი ადრე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო. ჩვენ ყველას დავუდგებით გვერდით.

-ბატონო დავით, როგორია თქვენი პროგნოზი „ნაციონალური მოძრაობის“ აქციასთან დაკავშირებით.

–მე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. იცით, ჩვენი გამარჯვების შემდეგ უსამართლობას ბოლო მოეღო. არა მგონია ადამიანები კვლავ ამ ძალას დაუდგნენ გვერდით. . იცით საქართველო მართლმადიდებელი და ტრადიციების ერთგული ქვეყანაა, სადაც არ უნდა იყოს უსამართლობა.

ჩვენთან კომენტარების შემდეგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია და დავით კუკულაძე პარტიის წევრებს პარტიის უახლოეს გეგმებზე ესაუბრნენ. შემდეგ პარტიის აქტივთან შეხვედრა დახურულ რეჟიმში გაგრძელდა.

alion.ge 18. 04. 2013 წ.

ანასეული-ნარუჯა-ლაითურის გზა რეაბილიტაციის პროცესშია

19 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კონსტანტინე შარაშენიძემ ანასეული-ნარუჯა-ლაითურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ანასეული - ნარუჯა - ლაითურის გზის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხით, მუნიციპალიტეტის გამგებლის ინიციატივით ხორციელდება.

შპს „გზამშენი 18"-ის მიერ 8 კმ-იან მონაკვეთზე, ამჟამად გზის გაფართოება, ორმული შეკეთება და გვერდითი არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

მალე სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება და ანასეული- ნარუჯა - ლაითურის გზა ასფალტის დასაგებად გამზადდება.

სამომავლოდ რეაბილიტირებული გზის ქობულეთის ავტობანთან მიერთება იგეგმება, რაც ხელს შეუწყობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რესურსების გაზრდას.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, კონსტანტინე შარაშენიძე დაბა ლაითურის ბინებში მცხოვრებ მოსახლეობასაც შეხვდა და მათი ავარიული სახლები დაათვალიერა.

დაბა ლაითურში არსებული საცხოვრებელი კორპუსები, წლებია ავარიულ მდგომარეობაშია და ისინი რეაბილიტაციას საჭიროებენ.

გამგებლის თქმით, ავარიულ კორპუსებს სპეციალისტთა ჯგუფი შეისწავლის, რის შემდეგაც განისაზღვრება თუ რომელ კორპუსს რა სახის დახმარება უნდა გაეწიოს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრეს-სამსახური

7 დღის ამინდის პროგნოზი

22 აპრილი	23 აპრილი	24 აპრილი	25 აპრილი	26 აპრილი	27 აპრილი	28 აპრილი
კლიერი წვიმა +8+11	კლიერი წვიმა +8+12	წვიმა +4+12	მზე, ღრუბელი +7+15	წვიმა +4+11	მზე, ღრუბელი +4+17	მზე, ღრუბელი +8+18
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

„ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები თბილისში წავიდნენ

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან (რომელიც ამჟამად ოზურგეთელი მინდია ღლონტის კერძო მფლობელობაშია) 19 აპრილს, დილით „ნაციონალური მოძრაობის“ 20-მდე აქტივისტი შეიკრიბა.

როგორც ამ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხეილ გოგოტიშვილმა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალების“ წევრმა ირინა საჯაიამ გვითხრეს, პარტიის აქტივისტთა ნაწილი წინა დღით ოზურგეთი-თბილისის მატარებლით და კერძო ავტომანქანებით გაემგზავრა. (როგორც რედაქციისთვის შემდეგ გახდა ცნობილი, ქ. ოზურგეთი, გმირთა მოედნიდან „ნაციონალების“ მცირე ჯგუფების გამგზავრების ორგანიზებას თავად საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ვალერიან ჩიტაიშვილი ახდენდა).

მიუხედავად შეყოვნებისა, ოფისთან წამსვლელთა რაოდენობა არ გაზრდილა და აშკარად ჩანდა, რომ ოზურგეთიდან „ნაციონალების“ აქტივის და მხარდამჭერების დაანონსებული რაოდენობა არ შეეფერებოდა სინამდვილეს.

ოფისიდან „ნაციონალების“ ჯგუფი ერთი მიკროავტობუსით და ერთი მსუბუქი ავტომობილით 9 საათსა და 40 წუთზე გაემგზავრა.

alion.ge 19. 04. 2013 წ.

ვაუჩერების დარიგება გრძელდება

ვაუჩერების დარიგების პროცესი გრძელდება. პარალელურად მოსახლეობა სასაქონლო ვაუჩერებით მინერალურ სასუქებს და სხვადასხვა ინვენტარს იძენს. ამ საქმით რამდენიმე მაღაზიაა დაკავებული. მემამულეთა კავშირის მაღაზია ავტოსადგურის ტერიტორიაზე, რომან ვასილიევის მაღაზია თაყაიშვილის ქუჩაზე, ახალი სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე რამდენიმე მაღაზია და ა.შ.

მოსახლეობა ძირითადად აზოტოვანი სასუქს, ელექტრო ცელებს, ხელის ურიკებს და შრომის სხვა იარაღებს იძენს. ფასები თითქმის ყველგან თანაბარია.

ჯერ-ჯერობით ვაუჩერების მხოლოდ ნაწილია დარიგებული. თუმცა მოსახლეობის ნაწილი ვაუჩერებს (დაახლოებით 60-70 ლარად) ჰყიდის.. ერთ-ერთმა ვაუჩერის მფლობელმა თქვა: –რა ვქნა, ვიცი არასწორად ვიქცევი, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემს ოჯახს ფქვილი და შაქარი უფრო სჭირდება.

ახალგაზრდული ფორუმი

ნინო ნიკოლაიშვილი

21 აპრილს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში ახალგაზრდული ფორუმი გაიმართა. მონაწილეობდნენ გურიის რეგიონის 33 პარტნიორი სკოლის სამოქალაქო კლუბებისა და საინიციატივო ჯგუფების მოსწავლეები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ფორუმის მიზანი მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით თემის ადგილობრივი საჭიროებების კვლევა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება. ფორუმი ორგანიზებულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია **PH Internatianal** ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **(USAID)** დაფინანსებით.

შეხვედრაზე იმყოფებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მანანა კოპალეიშვილი. სამოქალაქო კლუბის წევრებმა სამივე მუნიციპალიტეტის სკოლებიდან საინტერესო პროექტები წარმოადგინეს. ფორუმს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ოზურგეთიდან და ლანჩხუთიდან. სინანული გამოხატეს ჩოხატაურელმა მოსწავლეებმა იმის გამო, რომ მათ გამოსვლებს არ ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. როგორც მანანა კოპალეიშვილმა აღნიშნა, როგორ შეიძლება არ მოუსმინო ამ ახალგაზრდებს და უარი უთხრა მათ დახმარებაზე. მაშინ, როცა ბევრი ახალგაზრდა მთელ დღეებს კომპიუტერთან ატარებს, ეს ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთი თემის პრობლემების მოგვარებაში.

გიორგი უშიკიშვილი სტუმრად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში



16 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტუმრად ჩამოსულმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა, გიორგი უშიკიშვილმა, ტრადიციულ კულტურათა საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელ, ზურა ერქომაიშვილთან ერთად, ღვაწლმოსილი მომღერალი და ანსამბლ „შალვა ჩემოს" წევრი, გური სიხარულიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლების კონსულტანტად წარადგინა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კონსტანტინე შარაშენიძეს გური სიხარულიძის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლების კონსულტანტად დანიშვნის თაობაზე მიმართა, რათა გურული მუსიკალური ფოლკლორი არ დაიკარგოს და იგი ახალგაზრდებს მემკვიდრეობით გადაეცეს.

გურული სიმღერის ქომაგი, გური სიხარულიძე 1954 წლიდან ოზურგეთის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი გახდა, მას როგორც ანსამბლ „ელესას" მომღერალს ასზე მეტი გურული სიმღერა აქვს შესრულებული.

2009 წელს რეჟისორ ნანა ჯანელიძის მიერ გადაღებულ ფილმში „გალობის რაინდები", გური სიხარულიძემ დიდი მგალობელი, ანტონ დუმბაძე განასახიერა.

შეხვედრაზე კულტურის ცენტრთან არსებული სალოტბარო სტუდიის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ვახტანგურმა" რამდენიმე გურული სიმღერა შეასრულა.

გიორგი უშიკიშვილის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიის საშუალებით, ყველა ფოლკლორული ანსამბლი ჩაიწერება, რაც პირველ -რიგში უნიკალური გურული სიმღერის პოპულარიზაციასა და თაობებისათვის გადაცემას შეუწყობს ხელს. უშიკიშვილმა გაწეული მხარდაჭერისათვის მადლობა გამგებელ, კონსტანტინე შარაშენიძესა და მაჟორიტარ დეპუტატ, ზვიად კვაჭანტირაძეს გადაუხადა.

კონსტანტინე შარაშენიძემ მედიასთან გურული ხალხური სიმღერის შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის გამგეობა ყოველთვის გვერდით დაუდგება და თავის წვლილს შეიტანს ფოლკლორის გადარჩენის ეროვნულ საქმეში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრეს-სამსახური

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხილვა

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეიკრიბნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი ხელისუფლების, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის თემა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხილვა იყო.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საზოგადოებას დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგია წარუდგინა. რეფორმის შედეგად იგეგმება ორდონიანი – მუნიციპალური და რეგიონული თვითმმართველობის ჩამოყალიბება. გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა, ხოლო სოფლისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც მოხდება მუნიციპალიტეტების ფორმირება. მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების მმართველი რგოლები არჩევითი იქნება. დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი ელემენტები. თვითმმართველ ერთეულებსა და მხარეებს ექნება საკუთარი ექსკლუზიური კომპეტენციები და დამოუკიდებელი ბიუჯეტი. საგადასახადო შემოსავლების გამიჯვნისას კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი, ზიარი და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები.

ამ საკითხზე მსჯელობისას გამოიკვეთა გურიის მხარეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სტრატეგიისადმი. ერთის მხრივ ისინი მიესალმებიან მეტ დეცენტრალიზაციას, არჩევითობას მოქალაქეთა ჩართულობას. თუმცა მეორე მხრივ კითხვის ნიშნები გააჩნიათ სტრატეგიაში წარმოდგენილი ფისკალური დეცენტრალიზაციის და ტერიტორიული მოწყობის პრინციპების მიმართ.

რეგიონალური პრობლემატიკის კვლევის შედეგების პრეზენტაცია

11 აპრილს ქ. თბილისში და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ზუგდიდში, გორში, ახალციხესა და თელავში გაიმართა „სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი“ არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი პრესკონფერენცია. გურიიდან „სიდას“ქსელში გაერთიანებული არიან: საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, ახალგაზრდული რესურსცენტრი, ლანჩხუთის საინფორმაციო ცენტრი. გაიმართა რეგიონული პრობლემატიკის კვლევის შედეგების პრეზენტაცია დაინტერესებული მხარეებისათვის.

მოცემული კვლევის ფარგლებში, რომელიც საქართველოს 10 რეგიონში ჩატარდა, სულ გამოიკითხა 1405 რესპონდენტი. კვლევის მიზანი იყო რეგიონში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი პრიორიტეტის მიხედვით რანჟირება. ასევე თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება და სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის ნდობის გამოვლენა.

კვლევის შედეგად ქვეყანაში მთავარ პრობლემად ჯანდაცვა დასახელდა (51 %); გურიაში გამოკითხულთა 68 % მიიჩნევს მთავარ პრობლემად ჯანდაცვას; ხოლო მომდევნო ადგილზე სოფლის მეურნეობაა (50 %);

გურიაში გამოკითხულთა 41 %-ის პრობლემა ჯანდაცვის საფასურია, ხოლო 25,5% ექიმების კვალიფიკაცია.

განათლების სფეროში გამოკითხულთა 24% პრობლემა უმაღლესი განათლების ხელმისწვდომობაა.

პოლიტიკაში– 39 % ფიქრობს, რომ არის თანაარსებობის პრობლემა, ხოლო 42% საზოგადოების დაპირისპირების საფრთხე.

რაც შეეხება ინსტიტუტების ნდობის ხარისხს პირველ სამეულში ჯარი, რელიგიური ინსტიტუტები და პოლიცია შევიდნენ; ხოლო ბოლო სამ ადგილს პრეზიდენტის ინსტიტუტი, პოლიტიკური პარტიები და რეგიონული ხელისუფლება იკავებენ.

ვახტანგ ჯაყელი



30 მარტს გაზეთ „ალიონის“ მე-10 000 ნომერი გამოვიდა. ეს გაზეთი ყველაზე ძველ, მოქმედ გაზეთად რჩება საქართველოს რეგიონების გაზეთებს შორის, რომლის წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ოზურგეთელ ჟურნალისტთა სხვადასხვა თაობას. ერთ-ერთი მათგანი, რომლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჟურნალისტიკასთან იყო დაკავშირებული, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ჯაყელი იყო. 1954-62 წლებში მისი რედაქტორობის პერიოდს უკავშირდება გაზეთში ნიჭიერი თაობის (მამია კილაძე, თამაზ სალუქვაძე, ელგუჯა შევარდნაძე, ნუგზარ ძინძლაძე, გიზო ჭელიძე, ვაჟა ჭანუყვაძე, ლამარა სიმონიშვილი) მოსვლა, რომლებიც შემდეგ აღიარებული ჟურნალისტები გახდნენ.

ვახტანგ ჯაყელმა შრომითი საქმიანობა 1936 წელს დაიწყო ოზურგეთის რაიონულ გაზეთში. ომის წლებში (1941-1945 წ.წ.) ის იყო საჩხერის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ რედაქტორი.

წლების განმავლობაში იყო რესპუბლიკური გაზეთების საკუთარი კორესპონდენტი გურიის რეგიონში. 1954-62 წლებში ის იყო მახარაძის (ოზურგეთი) რაიონული გაზეთ „ლენინის დროშის“რედაქტორი. იმ პერიოდში გაზეთში მოღვაწეობდნენ მაღალკვალიფიციური ჟურნალისტები: მამია კილაძე, თამაზ სალუქვაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, გიზო ჭელიძე და სხვები, რომლებმაც რედაქტორის ხელმძღვანელობით გაზეთი გადააქციეს ინფორმაციის ფართო მასშტაბიან წყაროდ და რაიონის საწარმოო წარმატებების აქტიურ მონაწილედ.

ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად ვახტანგ ჯაყელი ეწევა კვლევით საქმიანობას ეკონომიკის დარგში და აფორმებს საკანდიდატო დისერტაციას, რომელსაც წარმატებით იცავს.

შემდგომ წლებში ბატონი ვახტანგი მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობაზე, ხოლო 1966 წლიდან ის დაინიშნა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მან გამოავლინა დიდი ძალისხმევა, ინიციატივა და ინსტიტუტის საქმიანობა არაერთგზის რესპუბლიკური და საკავშირო ჯილდოებით აღინიშნა. შემდეგ მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

ვახტან ჯაყელის აქტიური მხარდაჭერით, წარმოებაში დაინერგა ჩაის მაღალხარისხიანი ჯიში „კოლხიდა“ (კლონი 257) და ინსტიტუტის ექსპერიმენტალურ ბაზებში გამოჰყავდათ მილონობით ვეგეტატიურად გამრავლებული ნერგები.

იმავდროულად ვახტანგ ჯაყელი დიდ ყურადღებას აქცევდა ინსტიტუტის ბეჭდვითი ორგანოს, ჟურნალ „სუბტროპიკულ კულტურებს,“ რომელიც გარდა იმისა, რომ დიდ სამსახურს უწევდა მეცნიერებსა და წარმოების მუშაკებს, მეცნიერების მიღწევისა და წარმოების მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას. ინსტიტუტის მიღწევებს აცნობდა კლასიკური მეჩაიეობის და მეციტრუსეობის ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტებს ჩვენი ქვეყნის მიღწევებს. ამ ქვეყნებიდან გაცვლის წესით იგზავნებოდა მათი ჟურნალები და შრომების კრებულები.

ჟურნალ „სუბტროპიკული კულტურების“მთავარ რედაქტორად მუშაობისას სრულად გამოვლინდა ვახტანგ ჯაყელის ჟურნალისტური და პუბლიცისტური ალღო. ის აქვეყნებდა წერილებსა და სამეცნიერო სტატიებს აქტუალურ და ხშირად პრობლემატურ საკითხებზე. ხშირად დისკუსიების ინიციატორიც იყო. სისტემატური ხასიათი მიიღო ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციების ჩატარებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო სუბტროპიკულ კულტურებზე მომუშავე მუშაკები, არამედ პრაქტიკოსთა ფართო წრე.

ვახტანგ ჯაყელი მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი იყო, რომლებსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ატარებდა, მაგრამ იყო ერთი სამკერდე ნიშანი, რომლის ტარებასაც ის სავალდებულოდ თვლიდა. ეს მისი ჟურნალისტური სქმის წევრობის სამკერდე ნისანი იყო. მისი ერთგული ის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იყო.

ვახტანგ ჯაყელი 2006 წელს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვალერიან ცანავა,
აკადემიკოსი

ომარ ბაკურაძის ლექსების საღამო

გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ომარ ბაკურაძის ლექსების საღამო –ლექსთაცვენა გაიმართა.

უნდა აღინიშნოს, მიუხედავად ამ დღის პოლიტიკური დატვირთვისა, ოზურგეთის ბიბლიოთეკაში შეიკრიბა პოეზიის მოყვარული 100-მდე ადამიანი.

ამ ღამაზი საღამოს ორგანიზატორი თავად ბიბლიოთეკა იყო და იგი მიჰყავდა ბიბლიოთეკის თანამშრომელს თამარ ბაქანიძეს.

ომარ ბაკურაძის შემოქმედების შესახებ ისაუბრეს პედაგოგმა **ნანა გოგეშვილმა,** ჟურნალისტმა **ნუგზარ ასათიანმა,** ლიხაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა **სიმონ ბებურიშვილმა,** ინჟინერ-მშენებელმა **ანზორ დოლიძემ,** ტელეოპერატორმა **რევაზ ცქვიტინიძემ,** ბიბლიოთეკის დირექტორმა **ლიკა ბაქანიძემ.**

ითქვა, რომ ომარ ბაკურაძე ნიჭიერი კაცია, რომლის შემოქმედებასაც სამ ათეულ წელზე მეტია იცნობს მკითხველი. გარდა პოეზიისა, მას სერიოზული ნაშრომი აქვს ქართულ-ებრაულ ურთიერთობების თემაზე. არის არაერთი კულტურული ღონისძიების მხარდამჭერი. მისი ლექსები იბეჭდებოდა საქართველოში გამომავალ სხვადასხვა გამოცემებში. აქვს კარგი ოჯახი. მისი შვილები მონაწილეობდნენ საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დასაცავ პოლიტიკურ აქციებში. (საღამოზე 2007 წლის ნოემბრის აქციის შესაბამისი ფოტოებიც წარმოადგინეს გაზეთ „ალიონის“ფოტოარქივიდან). აღნიშნეს მისი, როგორც კარგი მეურნე კაცის შესახებ და ქართული ვაზის უძველესი ჯიშების გადარჩენის საქმეში მის წვლილზე და ა.შ.

ომარ ბაკურაძის ლექსები წაიკითხეს ალ წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა, ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ხოლო ანსამბლმა „აბჯარმა“ (ხელმძღვანელი ჯემალ ჭელიძე) და ოზურგეთის მუსიკალურ კოლეჯთან არსებულმა ქართულ საკრავთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი ქრისტინე მათითაიშვილი) მუსიკალურად გააფორმეს ეს ღამაზი ღონისძიება.

ომარ ბაკურაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსები.

ოზურგეთში ლევან ჭოღოშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა

ნუგზარა ასათიანი

ოზურგეთის სურათების გალერეაში ცნობილი მხატვრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების დეპარტამენტისა და ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის პროფესორის, მხატვართა საერთაშორისო ორგანიზაციის „ბაზელი-თბილის-ფრაიბურგი“ წარმომადგენლის ლევან ჭოღოშვილის გამოფენა გაიხსნა.

ლევან ჭოღოშვილს 1976-2013 წლებში 28 ჯგუფურ და 12 პერსონალურ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული. მათ შორის პარიზში, ბარსელონაში, ედიბურგში, ვენაში, ვენეციაში, სომერსეთში, ლონდონში, ნიუიორკში.

2012 წელს მსოფლიო საერთაშორისო ოსტატების მიერ მინიჭებული აქვს მსოფლიო ოსტატის წოდება.

საქართველოში თბილისის შემდეგ ოზურგეთი პირველი ქალაქია, სადაც ამ მხატვრის გამოფენა გაიმართა.

ოზურგეთში წარმოდგენილი ნამუშევრებიდან განსაკუთებულ ყურადღებას იმსახურებს 1973-93 წლებში შესრულებული ნამუშევრების სერიიდან „განადგურებული ქართული ოჯახები“(შერეული ტექნიკა, რომელთა შორის ერთ-ერთია „გაქცევა გურიიდან.“



ბაგრატ III

მის ნამუშევართა შორის საინტერესოა „ნაპოლეონ III და მიურატ დადიანის ოჯახი,“ (2011 წ.), „პაპი და პატრიარქი,“(1982 წ.)„ძველი თბილისური ფოტოები.“

გამოფენის მნახველთა ყურადღებას იმსახურებს 4 მონუმენტური ნამუშევარი სერიიდან „საქართველოს მეფეები“ რომლებიც მხატვარს 1978-98 წლებში შეუქმნია. „მითრიდატე დიდი პონტო-კოლხეთის მეფე“, „მეფე ბაგრატ III,“„მეფე დავით აღმაშენებელი,“(შერეული ტექნიკა) და „მეფე თამარი.“ (ფოტო).

* * *

ლევან ჭოღოშვილის გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძე**, მხატვრები **ვახტანგ მამეიშვილი, ავთანდილ თავართქილაძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი **მაია თანდილაშვილი**, მხატვარი **ლევან ჭოღოშვილი.**

„პირველმა სხივმა“ გრან-პრი აიღო

ვოკალურ-ისტრუმენტულმა ანსამბლმა „პირველმა სხივმა“ (ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე) ქ. ბათუმში აჭარის მუსიკოსთა და ფოლკლორისტთა საზოგადოების მიერ ორგანიზებულ კონკურსში გაიმარჯვა და ფესტივალის მთავარი ჯილდო გრან-პრი დაიმსახურა.

სიკეთით განვლილი ცხოვრება

ნინო ნიკოლაიშვილი

სიკეთის ქმნა მისი ცხოვრების თანამგზავრი იყო დღემუდამ. ერთია იყო პროფესიონალი შენი საქმისა, მეორე – ამ პროფესიონალიზმს თან ერთვოდეს გულისხმიერება, უბრალოება, სიყვარული მოყვასისა. ამიტომაც წელთა მატებასთან ერთად მატულობდა მადლიერ ადამიანთა რიცხვი. არასოდეს მიგიღებდა გულგრილად, გულდასმით მოგისმენდა, გრძნობდი, რომ იგი შენი გულშემატკივარი იყო, რჩევებს იმედსაც მოაყოლებდა, ასე საუბრობენ მასზე, ვინც იცნობდა. ასე ახასიათებენ ვენერა ექიმს.

ვენერა ალექსანდრეს ასული სოსელია, ოზურგეთის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი-ლაბორანტი.

იგი თბილისში დაიბადა 1932 წლის 19 ოქტომბერს. 1950 წელს დამთავრა ქ. თბილისის ქალთა 23-ე სკოლა. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი. 1957 წელს დაქორწინდა და საცხოვრებლად ოზურგეთს დაემკვიდრა. ღირსეულ ოჯახში აღზრდილი, ღირსეული ოჯახის დიასახლისი გახდა. მისი მეუღლე რატი ღლონტი არა მხოლოდ საუკეთესო ბავშვთა ექიმი გახლდათ, არამედ საუკეთესო ინტელექტუალი, ოზურგეთელი ჟურნალისტების დიდი მეგობარი. ორი შვილი აღზარდეს. უფროსი ქეთევან ღლონტი ექიმი ინფექციონისტი, ოჯახური ტრადიციის განმგრძობი გახდა, მუშაობს „მედალფას“ კლინიკაში სტაციონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელად. მეორე – მარიკა ღლონტი მუზეუმში არქეოლოგია-ნუმიზმატიკის განყოფილების გამგეა, საინტერესო სტატიების ავტორი.

ღიმილით ხვდებოდა ყველას ვენერა ექიმი, უტყუარი იყო მისი პასუხი. უდიდესი ნდობაც ამიტომ მოიპოვა. 1958 წლიდან 2006 წლამდე იმუშავა ოზურგეთის ცენტრალურ საავადმყოფოში. თითქმის ხუთი ათეული წელი. დღეს მედიცინის აღმოჩენად მიჩნეულ ბევრ ტექნოლოგიას ფლობდა, რადგან ამ სფეროში გასაოცარი, სიღრმისეული ცოდნა გააჩნდა, რასაც უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება ემატებოდა. მისი უანგარო დახმარებები არაერთი ადამიანისთვის გამხდარა უდიდესი იმედი მაშინ, როცა განსაკუთრებით უჭირდა საზოგადოებას. ამ სიკეთით მოჰყვებოდა წელთა მატებას. ჩუმი და მოკრძალებული იყო, არ საუბრობდა თავის საქმეებზე, თუმცა მისი სიკეთით სავსე სახე, თბილი გულითადი საუბარი, გულისხმიერი რჩევა და თანადგომა ყველა იმ ადამიანის მეხსიერების ნათელი მხარეა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია შესაძლებლობა ვენერა ექიმთან ურთიერთობისა. ამიტომაც გახდა მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი არა მხოლოდ ოჯახისთვის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის.

დიდი შრომა სჭირდება ასეთი სახელის დამკვიდრებას, დიდი ძალისხმევა. და არაფერია იმაზე დიდი სიმდიდრე, მშობელთაგან დანატოვარი, რასაც მადლფენით განვლილი გზა ჰქვია. გზა, რომელიც თავადაც მადლად დაეფინება საიმქვეყნიო საცხოვრისში და ბევრისთვის სწორ გადაწყვეტილებებს ნიშნავს აქაურ ცხოვრებაში.

საქველმოქმედო აქცია

ნუგზარ ოთარიშვილი

გიგლა გიორგაძე ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს მუშაობდა გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში ფოტოკორესპონდენტად. მისი ნამუშევრები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით. გიგლას ლამაზი ოჯახი ჩვენი ქალაქის საზოგადოების ნაწილი იყო. გასული საუკუნის 90-იან წლებში „ალიონის“ რედაქციაში გიგლას ვაჟი– დათო მოვიდა და თავისი წვლილი შეჰქონდა გურიაში პირველი დამოუკიდებელი მედიასაშუალებების გაზეთ „ალიონისა“და „თვალსაწიერის“ წარმატებებში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დათო ოჯახთან ერთად ქ. თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და იქ მოღვაწეობდა. ლამაზი ოჯახი შექმნა, ორი შვილის მამა იყო. მამასთან ერთად არც ფოტოსაქმეს ანებებდა თავს და არაერთი საინტერესო საგანმანათლებლო პროექტიც განახორციელეს.

სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე მორიგი აქციის განხორციელება გადაწყვიტეს. სკოლების მართლმადიდებელი მოსწავლეებისათვის ათასობით წიგნის სანიშნები, სადაც ათი მცნება და უფლის საკვერბელი ლოცვა და სკოლებისათვის დიდ ფორმატზე მხატვრულად დაბეჭდილი ათი მცნება იქნებოდა დაბეჭდილი.

სამწუხაროდ, მან პროექტის დასრულება ვერ მოასწრო. ახლა მისი მამა აგრძელებს დაწყებულ საქმეს.

ამ დღეებში დათოს მამამ ქ. ოზურგეთის სკოლებისათვის საჩუქრები ჩამოიტანა. თავდაპირველად ოზურგეთის საკათედრო ტაძარში მივიდა და მამა შალვასაგან მიიღო სათანადო კურთხევა. შემდეგ რესურსცენტრის უფროსს ირინა ინარიძეს შეხვდა. ქ. ოზურგეთის №№1, 2,3, 4, 5 საჯარო სკოლებს, წმიდა ნინოს გიმნაზიას და გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლას ათი მცნება და 4 000 ცალი სპეციალური სანიშნი გადასცა.

მართლამდიდებელი მოსწავლეები წიგნის გადაშლისას ათ მცნებასთან ერთად წაიკითხავენ **„მეუფეო ზეციათაო, ნუგეშის-მცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე არავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ სახიერო, სულნი ჩვენნი.“**

დაიწყო „ა“ ლიგის ჩემპიონატი

დაიწყო საქართველოს „ა“ ლიგის ჩემპიონატი 18 წლამდე ასაკის მორაგბეებს შორის. ჩემპიონატი ორ ჯგუფში (11-11 გუნდი) ტარდება.

ოზურგეთის „არწივები“ რთულ ჯგუფში მოხვდა. აქ შარშენდელი ჩემპიონატის პირველი ოთხეული გამოდის.

10 აპრილს „არწივებმა“ ჭიათურაში ითამაშეს. დავით ტრაპაიძის დადებულმა ლელომ წელში გაწყვიტა იმერელი მორაგბეები და ოზურგეთმა ამ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა 13:6.

წელს „არწივების“ ღირსებას ბათუმიდან გადმოსული 6 ლეგიონერი დაიცავს.

განცხადება

ა.ა.(ი)პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრს ბავშვთა ბაღებისათვის ესაჭიროება საქონლის ხორცის (ფილე) შესყიდვა და მიწოდება 37 ბაღში.

დაინტერესებულმა პირებმა დეტალური ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: **ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3**

ტელეფონი; (595) 30 51 03

კაკო ზაქარიაძე

ჯემალ დობორჯგინიძის მე-9 წიგნი

გამოვიდა პოეტ ჯემალ დობორჯგინიძის საბავშვო ლექსების კრებული „ცისარტყელა,“ რომელიც პოეტის მე-9 ლექსების კრებულია. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „გვირილა,“„შავი შაშვი ჩიოდა,“ „იის გორა,“„ჭიპიტო და ჭაპიტო,“ (ორი გამოცემა)„დედულეთის ზაფხული,“„იის გორიდან მოვდივარ,“„კესოს წიგნი.“

ვეტერან მოჭადრაკეთა ჩემპიონატზე

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საჭადრაკო პირველობა ვეტერან (სენიორ) მოჭადრაკეთა შორის. ამჯერად ჩემპიონატში 60 წელს გადაცილებული ათი მოჭადრაკე ჩაერთო, რომლებიც წარსულში წარმატებით მონაწილეობდნენ რაიონული და რეგიონული მნიშვნელობის ღონისძიებებში.

გათამაშებული 50 პარტიიდან, უმეტესობა მაღალი სპორტული დონით გამოირჩეოდა, თუმცა იყო დაძაბული მომენტები და მისგან გამომდინარე მოულოდნელი შედეგებიც.

საბოლოოდ საპრიზო სამეულში ძლიერები მოხვდნენ. 10 შესაძლებლობიდან 7,5 ქულით ჩემპიონობა კოკი ბაქანიძემ მოიპოვა. მას მხოლოდ 0,5 ქულით ჩამორჩა რებული მჟავანაძე, რომელსაც 7 ქულით II ადგილი და ვიცე-ჩემპიონობა ერგო. ჩემპიონატში სპეციალურად იქნა ჩართული 9 წლის თორნიკე მახარაძე, რომელიც ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ემზადება. მან ვეტერანების ტურნირზე კარგად იასპარეზა და მესამე ადგილი დაიკავა.

ჩემპიონატს მაღალკვალიფიციურად უმსაჯა ოსტატობის კანდიდატმა, სასპორტო სკოლის მწვრთნელმა ელგუჯა ურუშაძემ.

ჩემპიონატი ჩატარდა გურიის ჭადრაკის ფედერაციისა და ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრის ორგანიზებით. მათ მიერ დაწესებული იყო პრიზები და სპეციალური დიპლომები, რომელიც წარმატებულებს ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ გადასცა

ლია მელიქაძე, ნათია, დალი, ციური, ნარიგული თალაკვაძეები თანაუგრძნობენ შავიშვილების ოჯახს **რევაზ შავიშვილის** გარდაცვალების გამო.

გენო ქილიფთარის ოჯახი თანაუგრძნობს ამირან, სპარტაკ მამულიშვილების ოჯახს შვილისა და დის **ნონა მამულიშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე